F1/3 №12912
Библиотека
საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 137 ივლისი 1, ხუთშაბათი 1893 ივლისი 1, ხუთშაბათი № 137

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## კრილოვის არაკები

თარგმანი

აკაკი წერეთლის-მიერ

ფასი 30 კ. უდით 40 კ.

ეს წიგნი მოწონებულია კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის რჩევისაგან შესაძენად სამასწავლებლო და სამოსწავლო ბიბლიოთეკებისათვის საშუალო და დაბალ სასწავლებლებში და აგრეთვე მიღებულია ხელ-საწყობად ქართულის ენის სწავლებისათვის იმავე სასწავლებლებში. ვინც ერთად დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა—დაეთმობა 20%.

(5—3)

1147

## ახალი ამბავი

*** მოგვყავს სიტყვა-სიტყვით თარგმანი უმაღლეს რესკრიპტისა, რომელიც მოუვიდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზს გორისას ალექსანდრეს:

«ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზო გორისავ, ალექსანდრევ.

მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მოხსენების გამო თქვენის ხანგრძლივისა და მეტად გულმოდგინე სამსახურისა მართლმადიდებელ ეკკლესიის სასარგებლოდ, გიბოძე ამასთანავე წარმოგზავნილი პანაგია, ძვირფასის თვლებით შემკული.

მივანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, ვგიებ თქვენდამი სამარადისო კეთილმყოფელი».

ალექსანდრე

*** ტფილისის გუბერნატორმა ამ დღეებში გადასცა პოლიცმეისტერსა და მაზრის უფროსებს სიები, რომლებშიაც აღნიშნულია ყველა პიესები, კავკასიის თეატრებში წარმოსადგენად ნება დართული, ქართულსა, სომხურსა და თათრულ ენებზედ.

*** გუშინ-წინ, 29-ს ივნისს, გუბერნიის მკურნალი (Губернскiй врачъ) ზელინსკი მოდენილა კოჯორის გზაზე, უნებლიედ გადავარდნილა სადღაც ხევში და იქავ გადაცვლილა.

*** ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული, რომ ტფილისში ქალაქის სამმართველოს სახლს ცეცხლი წაეკიდაო. აი ამ ამბის დაწვრილებული ცნობები.

სააფთექო წამლების აღმუროვის საწყობში ეწყო სხვა-და-სხვა ისეთი წამლები, რომლებსაც ცეცხლი ადვილად ეკიდება: ეფირი, ბენზინი (50 ფუთზედ მეტი), კოლოდიუმი, სკიპიდარი, სხვა-და-სხვა ნაირი ზეთი და სხ. საქმე ასე იყო. აღმუროვის სააფთეკო საწყობში მსახურებდა 17 წლის ყმაწვილი სტეფან აბესალომოვი. ეს ყმაწვილი ხშირად იგზავნებოდა სარდაფში წამლებისათვის. იმ დილასაც, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ჩაგზავნეს სარდაფში. იქ აბესალომოვს გაუტყდა შუშა, რომელშიაც ეფირი იდგა. შიშისაგან, არ დამსაჯონო, აბესალომოვს არ შეუტყობინებია არავისთვის ეს ამბავი. საღამოს 5½ საათზედ იგივე აბესალომოვი ჩაჰგზავნეს სარდაფში წამლებისათვის. აბესალომოვი სანთლით ჩავიდა სარდაფში, მაგრამ კარებთან მივიდა თუ არა, ეფირის გაზი აფეთქდა, ყმაწვილს ალი ეცა და გარედ გადმოისროლა. შეშინებული და დაშავებული ყმაწვილი ექიმ ავთანდილოვთან გაიქცა; ხელები ძლიერ დასწოდა აბესალომოვს და ექიმმა მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნა.

უცბად სარდაფში იფეთქა კიდევ და გამოანგრია ფანჯარ-კარებები. ცეცხლი მალე გაძლიერდა. ამ დროს მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმიც. მიუშვეს სარდაფში წყალი, მაგრამ ცეცხლი უფრო ძლიერდებოდა და წყალი წამლებთან შეერთებული უფრო პრიალებდა. მთელი ქუჩა და შენობები კუმეტ-ბნელში გაეხვია. ხალხი თანდათან გროვდებოდა ქალაქის სახლთან და მთელი მოედანი გაივსო. ხალხი ეცა აფთექას, ეზიდებოდა, რასაც-კი ასწრობდა და იქვე მოედანზედ აწყობდნენ. მალე ცეცხლი ზევითაც წავიდა და ქალაქის მოურავმა უბრძანა ქალაქის გამგეობიდგან ქაღალდები და ნივთები გამოეზიდნათ. ქალაქის გამგეობიდგან ეზიდებოდნენ ყველას. რაც-კი მოხვდებოდათ, სიჩქარისაგან ზემო სართულის ფანჯრიდგან პირ-და-პირ ისროდნენ დავთრებს, სკამებს და სხვ...

ყველა ეს ქაღალდები და საქმეები ზოგი დაიხა, ზოგი დასველდა, და ცოტა შრომა არ დასჭირდება ამ ქაღალდების გარჩევას. კასსა გადაარჩინეს ცეცხლსა. მაღაზიებში დიდძალი საქონელი დაიკარგა. ცეცხლი წაეკიდა ქალაქის გამგეობის ბუჰგალტერიის ოთახების იატაკს. მოიტანეს ქვიშა და სარდაფში ცეცხლი ამ ქვიშით ძლივს ჩააქრეს. ქალაქის ფულის გამსესხებელი კასსა და დაგირავებული ნივთები, ერთ მილიონ მანათამდე დირებული გადაარჩინეს დაწვას. ცეცხლი ღამის ათ საათზედ ჩააქრეს. ქალაქის სახლი დაზღვეულია საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში.

სახლის შეკეთებას სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით 10 ათასი მან. დასჭირდება; ამ ფულს საზოგადოება გადიხდის. ქალაქი იზარალებს სულ 1½ ათას მანათს. აღმუროვის საწყობი, აფთექა და სააფთიაქო წამლების მაღაზია დაზღვეულია „სალამანდრას“ საზოგადოებაში სულ 27 ათას მანათად.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ ახლო ხანში გაუუქმებიათ ტფილისის გერმანელებს თავიანთი ეკკლესია, რომელიც იარმუკაზე იმყოფებოდა. ამის მაგიერ გერმანელთ განუზრახავთ გადიდება და სრულიად განახლება კუკიის ეკკლესიისა, რომელიც მიხეილის ქუჩაზეა. ამ საქმისათვის მრევლს ფულიც საკმაოდ აქვს შეკრებილი.

*** 26 ივნისს, როდესაც ფოთის სახალხო მატარებელი სამტრედიიდგან მოდიოდა, მგზავრებმა უჯმაჯურიძემ, მგალობლიშვილმა და კილიძემ საშინელი უწესოება და ჩხუბი ასტეხეს ვაგონში. მგზავრებმა მიჰმართეს სადგურის უფროსს და სთხოვეს, ამ აყალ-მაყალს გადაგვარჩინე როგორმე, ან აქ დასტოვეთ, ან არა და დაამშვიდეთ, თორემ ძლიერ შეგვაწუხესო. მაგრამ სადგურის უფროსმა ვერა გააწყო-რა. უჯმაჯურიძე და მგალობლიშვილი შეიარაღებულნი იყვნენ, სადგურის უფროსს წინააღმდეგობა გაუწიეს და ხანჯლით დასჭრეს მკლავში. სადგურის უფროსის თანაშემწესაც რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ასცდა. „რაინდები“ ისევ მატარებელში ჩასხდნენ და წაბრძანდნენ. ხოლო როცა მატარებელი ახალსენაკს მივიდა, ორთავე დამნაშავე ჟანდრებმა შეიპყრეს.

*** ჩვენ მოგვივიდა ქ. ჴრუნიდგან ს. კასრაძის მიერ შეგროვილი 33 მ. შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად. ამ ფულისა იყო 3 მან. შესდგა 36 მ. ფულის შემწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

*** ცხინვალი: კიდევ იჩინეს სამმა თუ ოთხმა ტყის კაცებმა თავი: დაავიწყდათ თავიანთ თვალით ნანახი ჩამოხრჩობილები, აიღეს სინიღისსა და ნამუსზედ ხელი და ბარათებით თხოულობენ ხან ვისგან და ხან ვისგან, ფული გამოგვიგზავნეთო. ამ დღეებში ერთი ურია გაუძარცვავთ ავნევის გზაზედ და წაურთმევიათ ცხენი და ფარჩის ბოხჩა. მთელი ურიობა თრთის და კანკალებს შიშით. იმედია, ავაზა

## ფელეტონი

### ქალბატონი ჰერმეტისა

გიუ-დე-მოპასანისა

(ფრანცულით)

გიჟები ჩემს ყურადღებას დიდად იზიდავენ ხოლმე. ეს ხალხი რაღაც ახირებულ ოცნების საიდუმლო ქვეყანაში, იმ სიგიჟის სქელ ღრუბლებში სცხოვრობს, სადაც ყველაფერი, რაც-კი ამ ქვეყნად უნახავთ, ჰყვარებიათ, ჩაუდენიათ, მათთვის ისევ ახლდება, მათს წარმოდგენაში ისევ ფრთა ესხმის, მაგრამ სრულებით თავისებურად; არაფერი ემორჩილება იმ კანონებს, რომლებითაც კაცობრიობა თავის მოქმედებისა და აზროვნების დროს ხელმძღვანელობს.

მათთვის შეუძლებელი არ არსებობს, საეჭვოს ადგილი აღარა აქვს, ჯადოსნური—შესაძლებელია და არაბუნებრივი—ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს წინანდელი ყაფაზა—ლოლიკა, ეს წინანდელი კედელი—გონება, ეს აზრების წინანდელი კიბე—საღი ჭკუა,—ყოველივე იმსხვრევა, იქცევა და ვარდება მათის თავ-აშვებულ წარმოდგენის წინაშე, იმ წარმოდგენის წინაშე, რომელიც ფანტაზიის უსაზღვრო სამეფოში დაპარპაშებს, არაჩვეულებრივის სიჩქარით დაჰქრის და წინ არა ელობება-რა. მათთვის ყველაფერი არის და იქმნება. არა სჭირდებათ გარემოების ძლევა, ადვილად იშორებენ დაბრკოლებას, განსაცდელს ოსტატურად უმკლავდებიან. საკმარისია მათის საოცნებო სურვილის ჟიუტობა, რომ თავადებად იქცნენ, მეფურის და ღვთიურის უფლებით მოირჭმნენ, მთელ ამ ქვეყნიურს სიმდიდრეს დაეპატრონონ, სიცოცხლის ნეტარება ყოველივე იგემონ; რომ ყოველთვის ძლევა-მოსილნი, ლამაზნი, ყოველთვის ახალგაზდანი და ყველასგან სათაყვანონი იყვნენ! მარტო მათ შეუძლიანთ ამ ქვეყნად ბედნიერად იცხოვრონ, ამიტომ რომ სინამდვილე მათთვის არ არსებობს. მიყვარს მათის თავ-აშვებულის ჭკუა-გონების ცქერა, ისე როგორც უყვართ ხოლმე ცქერა უფსკრულში მოჩუხჩუხე ნაკადულისა, რომლის არც ასავალი იციან და არც დასავალი.

მაგრამ ამ უფსკრულს, რამდენიც გინდათ უცქიროთ, მაინც არა გამოვა-რა, ამიტომ რომ კაცი თავის დღეში ვერ შეიტყობს, ეს წყალი საითგან მოდის ან სად მიდის. გარდა ამისა, აქ წყალის მეტს ვერასა ჰხედავთ, იმისთანა წყალის მეტს, რომელსაც ყველა სხვა წყალი ჰგავს, და, მაშასადამე, მისის ცქერით მით უფრო ვერას გაიგებთ.

ამ ნაირადვე უმნიშვნელოა გიჟების ჭკუის ცქერა, ამიტომ რომ რაც უნდა საოცარი აზრები ავილოთ იმათი, ყველას ვიცნობთ, ყველა გვინახავს, ამ აზრებისა მხოლოდ ის გვიკვირს, რომ გონებაზე ასხმულნი არ არიან. მათი ჟინიანი სათავე იმიტომ გვაოცებს, რომ ერთს ალაგას არის გაჩერებული, აღარ მიმდინარეობს. ალბად ერთი კენჭი ქვა ჰკმაროდა, რომ წამოსვლისათანავე დასცემოდა და აეჩუხჩუხებინა.

მაინც გიჟები ყოველთვის მიზიდავენ ხოლმე და ჩემდა უნებურად სიგიჟის საიდუმლოება ცნობის-მოყვარეობას მიძრავს და მინდა სულ იმას ვუყურო.

ერთხელ მათს ბინაზე წაველ. ექიმმა მითხრა:

— წამოდით, ერთნაირი ავადმყოფი უნდა გიჩვენოთ.

ამის თქმაზე ერთის ოთახის კარი გააღებინა, სადაც ასე ორმოცის წლის, ჯერ კიდევ ლამაზი დედაკაცი ერთს დიდს სავარძელზე იჯდა, ხელში პატარა სარკე ეჭირა და დაჟინებით თავისს სახეს ისინჯავდა.

დაგვინახა თუ არა, დედაკაცი წამოხტა, სირბილით ოთახის ერთ კუთხისაკენ გაექანა, სადაც სკამზე პირბადე იყო დაგდებული, აიღო, პირის სახეზე კარგად შემოიფარა და ჩვენს მისალმებაზე თავი დაგვიკრა.

— აბა, ამ დილას ხომ კარგადა ხართ?—დაეკითხა ექიმი.

დედაკაცმა მწარედ ამოიოხრა.

— ცუდად, ბატონო, ძიელ ცუდად ვარ, იარებს უარესად ემატება ტკივილი.

ექიმმა დაბეჯითებით უთხრა:

— აბა სად? სცდებით, ღმერთია მოწამე.

დედაკაცი მიუახლოვდა და წაილუღლუღა:

— არა, ბატონო, დარწმუნებული ვარ. დღეს დილას ცხრა იარა კიდევ მომემატა: სამი მარჯვენა ლოყაზე, სამი მარცხენაზე და სამიც შუბლზე. ვაი ამ დღის მომსწრესა, მოვკვდე, ის მირჩევნია! ამის შემდეგ კაცს ვერ ვეჩვენები, თვით ჩემს შვილსაც, ჰო იმასაც-კი ვერ დავენახვები! სიუკუნოდ დავმახინჯდი, ჩემზე საცოდავი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დაიარება!

ამის თქმაზე სავარძელში მიესვენა და მწარედ გულ-ამოსკვნილი ტირილი.

ექიმმა სკამი აიღო, მის ახლო მიიდგა და ტკბილის ნუგეშის ცემით უთხრა:

— იჰ, ნეტავი თქვენ, აბა სადა გაქვსთ იარა, ერთი ვნახო მაინც; გარწმუნებთ—არაფერია, ოდნავ აგიწვამთ და სულ მთლად გაჰქრება.

დედაკაცმა უსიტყვოდ თავით ანიშნა: „არაო“... ექიმს უნდოდა პირბადე მოეხსნა, მაგრამ მან ორივე ხელი ექიმის ხელს ისე მაგრა ჩაავლო, რომ ხორცი სულ დაუღურჯა.

პირბადის მოხსნა ექიმმა კვლავ მოინდომა და თან ნუგეშს აძლევდა.

— კარგია ერთი, განა თქვენ თითონ არ იცით, რომ, როცა-კი გიწამლებთ, ამ საძაგელ იარებს ყოველთვის მოგირჩენთ ხოლმე. თუ-კი არ მაჩვენებთ, აბა თქვენ თვითონ დაფიქრდით, როგორ უნდა მოგირჩინოთ?

დედაკაცმა წაილუღლუღა:

— თქვენ კიდევ, როგორც იქმნებოდა, გაჩვენებდით, მაგრამ ამ ბატონს, თქვენ რო მოგყვათ, ვერ ვიცნობ.

— ესეც ექიმია, ჩემზე უკედაც გიწამლებსთ.

დედაკაცმა, როგორც იყო, პირბადე მოიხსნა, მაგრამ შიშმა, კრთომამ, სირცხვილმა, რომ ჩვენ სახე დავინახეთ, გააწითლა. ხან თვალებს ძირს დახრიდა, პირს ხან მარჯვნივ მიიბრუნებდა, ხან მარ კხნივ, რომ ჩვენთვის არ შამოეხედნა, და თანაც ლუღლუღებდა:

— ოჰ, ღმერთო, რა რიგ ვიტანჯები, როცა სხვა მიყურებს, საშინელებაა განა? არა, ხომ საშინელებაა?

...კებს მალე მოუღებენ ბოლოს. გუშინ, 25 ივნისს, წავიდა აქაური ბოქაული ავაზაკების შესაპყრობლად. ჩაფრების უფროსიც ამოვიდა გორიდგან და თან ამოიყვანა რამდენიმე ჩაფარი.

*** იქიდამვე: ჭირნახულის მოსავალს ნაკლები პირი უჩანს. კარგია ჭირნახული მხოლოდ ღამეებში. სიმინდებს არა უჭირს-რა ჯერ-ჯერობით. არც ვენახებს ასხია ურიგოდ, თუმცა შარშანდელს მოსავალს ვერ აჯობებს: ჭირნახულის ფასმა აიწია: პური 4 მანათად იყიდება კოდი, ჩალო სიმინდი 14 აბაზად.

ჩუმის ციებ-ცხელებისა და ყვავილის გარდა, აქეთ არაფერი ავადმყოფობა არა არის-რა. წელს კვლავინდებურად არა ცხელა.

ამ დღეებში საფილოქსერო მეორე დასიც ამოვიდა მუშითა და იარაღით და მუშაობენ იმ ერთს ვენახში, საცა ფილოქსერა აღმოჩნდა.

*** ბოყი-პრომისლი, 22 ივნისს. აქეთ მკა დიდი ხანია გათავდა. საცაა კალოობაც გათავდება. წრეულ ვერაფერი მოსავალი მოვიდა. თუმცა წელსაც მშვენიერი ყანები იდგა, საამურად გაჰქონდა ბიბინი, ღვთის თვალი, რომ იტყვიან, შიგა ტრიალებდა, მაგრამ მტკვარმა და მინდვრის თაგვმა აღარ დააცალეს შემოსვლა, არ დააცალეს დაპურება. რაც ერთმა ვერ დააკლო, მეორემ შეუსრულა. როგორც მოსალოდნელი იყო, აღელვებული მტკვარი ვეღარ მოთავსდა თავის კალაპოტში, სოფ. ჯევახის ახლო გაჰგლიჯა ერთ ადგილას ნაპირი, გასწია მუღანოს მინდვრისკენ და წალეკა, რაც-კი რამ დახვდა. ტყუილად იშრომა მთელ ზამთარს აქაურმა გლეხ-კაცობამ, ტყუილად ამაგრეს მტკვრის ნაპირები—მოსალოდნელი ზარალი თავიდგან მაინც ვერ აიცილეს. წელსაც მტკვარმა აიღო თავისი ხარკი ნახნავ-ნათესიდგან და მით ბევრს გაუმწარა სიცოცხლე და ჩააგდო ფიქრში, თუ რით გამოკვებოს თავი. წყლის გადავარდნას აბრალებენ ერთს რომელღაც ხანს, მითომ იმას გაეჭრას რუ თავის მამულის მოსარწყავად და ამ რუდგან გადავარდნილიყოს წყალი. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მტკვარი მოიმატებს ხოლმე, რადგანაც გაიყვანენ არხებს მინდვრების მოსარწყავად — აგუბებენ წყალს, რომ კარგად გაიჟღინთოს მიწა. ამისთანა მამულებს უფრო კარგი მოსავალი მოჰყავთ. ხანსაც რომ არ გაეჭრას რუ, მტკვარი მაინც თავისას არ დაიშლიდა. თუ წრეულ ვიღაც ხანის ბრალია, შარშან, შარშან-წინ, ან წინა წლებში, ვილასი ბრალი იყო? ვგონებ, რომ მტკვარმა არ მოიშალოს უგზო-უკვლოდ სეირნობა აქაურ მინდვრებში, ვიდრე არ გაიყვანენ მუღანოს მინდორში მტკვრიდგან არხებს ან არ აღადგენენ ძველ არხებს, რომელიც ბლომად ყოფილა და მით წყალს არ მოაკლებენ მტკვარსა და არაქსს.—წყალ დიდობას დაერთო მინდვრის თაგვი, რომელმაც უფრო მეტი ზარალი მისცა ჭინახულს. ბაღეულობაც ძალიან დააზარალა—შირვანის მხარეზედ მთლად მოსჭამა ბოსტნეულობა. პურის ფასმა ეხლავე მოიმატა, ხორბალი ფასობს ხალკარი (25 ფუთი) 22 მანეთი, ქერი 10 მანეთი. შარშან-კი კალოობას ხორბალი-12—13 მ. ქერი 5—7. მანეთზედ მეტი არა ფასობდა...

უმაღლესის მთავრობის განკარგულებით ათიოდ კაცს მეთევზეებს, რომელნიც ტემრუკიდგან იყვნენ მოსულნი, აღეკრძალათ ზიუდოს კულტუკში ცხოვრება და თევზის ჭერა. მიზეზი ისა, რომ ესენი ხშირად იჭერდნენ ქურდულად თევზს იმ ადგილებში, სადაც კანონით აღკრძალულია. აგრეთვე ორიოდ სომეხსაც აეკრძალათ ჯევათის მაზრაში ცხოვრება სამის წლის ვადით; ამათ ბრალდებათ ნაქურდალი ყიდვას და გასაღება.

წელს მინდორში ბლომად იყო შხამიანი გველები „გიურზა“, რამდენიმე კაცი დაჰკბინეს, ზოგი მათგანი გარდაიცვალა კიდეც. ამბობენ, მუღანოს მინდორიდგან, სადაც ბუდეა, გადმოსახლდენო. რადგან იქ ეხლა ბლომად არის წყალი.

*** ქუთაისი: ივნისის 22, 23 და 24 კრება ჰქონდა იმერეთის სამღვდელოებას. კრებას უნდა განეხილა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმეები და ზოგიერთი სხვა საგანიც, სამღვდელოების შესახები. ამოირჩიეს თავმჯდომარე და საქმეთ-მწარმოებელი. მობრძანდა ყოვლად-სამღვდელო, ეპისკოპოსი იმერეთისა გაბრიელი და კარგა ხანს ესაუბრა სამღვდელოებას და კეთილად დაარიგა კრების წევრნი. იყავით მხნედ და იზრუნეთ მრევლისათვისაო. არ კმარა წირვა-ლოცვა, ჰქადაგებდეთ და ასწავებდეთ მრევლს, რომ შეაგნებინოთ მოვალეობა სჯულისა და კაცის წინაშეო. იყავით სათნონი, კაცთ-მოყვარენი და შემბრალენიო. საქმეები განიხილეთ დამშვიდებით, აუჩქარებლად და ეცადეთ, ყოველივე თქვენი განაჩენი იყოს სამართლიანი, პირუთვნელიო და სხვ. ამ გვარი.

შემდეგ კრება შეუდგა თავის საქმეების განხილვას და სამს დღეს მუშაობდა. ყოველსავე, რაც ითქვა და რაც გადაწყდა ამ სამს დღეში, მოკლედ გაცნობებთ ხვალვე.

* 28 ივნისს ავჭალის ქუჩაზე იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეხურას ხეობა** (გორის მაზრა), 25 ივნისს. ამას წინად მთავრობისაგან მოსულმა განკარგულებამ, რომ ლეხურის ხეობის ახლო-მახლო შვიდი სამამასახლისო: საკორინთლოსი, ჭალისა, სამთავისისა, კასპისა, ალიაანისა, ოკმისა და ლამისყანისა უნდა შეერთდეს და ერთს ნასწავლს მამასახლისს ჩაბარდესო, დიდი ლაპარაკი და ჩოჩქოლი ასტეხა. ბევრს ლაპარაკობს უფრო, ესრედწოდებული, „განათლებული საზოგადოება“. რაც შეეხება გლეხ-კაცობას, რომელიც, საუბედუროდ, ჰფიქრობს, რომ უჩემოდაც საქმეს გააკეთებენო და იმდენადაც არად ჩააგდებენ ჩემს რჩევასო, მიდუმებულია და ხანდახან თუ, ისიც უსაქმობის დროს, ან დუქანში, ან სადმე კალოზედ რამდენიმე კაცი ჩამოაგდებს ამ საგანზედ ლაპარაკს; ლაპარაკობენ უგემურად, უგულოდ, თითქოს ეს საქმე მათ არ შეეხებათო. რა არის ამის მიზეზი, რით აიხსნება ესეთი გულ-ცივობა იმისთანა საგანზედ, რომელიც ასე თუ ისე მათ კეთილდღეობას შეეხება? აი გულის მქენჯავნი საკითხები, რომლებსაც ასე თუ ისე ახსნა სჭირია.

რა გაიგეს ამ უკანასკნელთ, რომ მამასახლისად ნასწავლთაგანი უნდა დაინიშნოსო, ხელი ჩაიქნიეს, რადგანაც მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ამისთანა კაცი მათშიაც მოიპოვებოდეს, ან მის ამორჩევაზედაც იმათ რაიმე ეკითხვისო, ამიტომ მათი თვალი მხოლოდ თავად-აზნაურობისაკენ არის მიპყრობილი და იქიდგან მოელიან სამამასახლისო პირს. ესევე მიზეზია იმისა, რომ ზოგიერთი საზოგადოება დიდ უარზედ დგას და არ უნდა ძველი წესის შეცვლა. „არ გვინდა ჩვენ ნასწავლი მამასახლისი, ჩვენ ისევ ჩვენი უსწავლელი გლეხი გვირჩევნიან, როგორც გვიწირავს, ისევე ვწირავთო“,—გაიძახიან გლეხები.

განათლებული საზოგადოება-კი დიდს მონაწილეობას იღებს ამ საქმეში. მან გლეხებსავით ხელის ჩაქნევით-კი არ მოისმინა ეს სასიამოვნო ამბავი, არამედ სიხარულით მიიღო და დიდ არჩევანებს შეუდგა. ყველას თავისი კანდიდატი ჰყავს (უფრო ბევრს, ვისაც-კი თავი განათლებულად მოაქვს, თავისი თავი ჰყავს მხედველობაში), მაგრამ ნამდვილებითაკი, რომ შვიდივე საზოგადოების თვალი ერთს პირზედ იყოს მიპყრობილი, ყველას მიაჩნდეს იგი საზოგადოდ ყველასთვის სასარგებლო კაცად, ჯერჯერობით არავინა ჰყავთ. ყველა დასახელებულში თითო დიდსა და საყურადღებო ნაკლულევანებას ხედვენ, რომელიც, რასაკვირველია, ამორჩევის დროს ამომრჩეველთ ყურადღებაში უნდა იქონიონ.

ვიტყვი ორიოდ სიტყვას ამომრჩეველთა და სამამასახლისოდ გამზადებულ კაცების საყურადღებოდ. ამ თანამდებობასაც, როგორც საზოგადოდ არის მიღებული, ბევრმა „ლუკმის“ მხრივ შეხედა დაინახეს კაი ჯამაგირის გარდა (800 მ. წელიწადში), კარგი შემოსავლიანობაც. ამისთანა შეხედულობამ საგანზედ ბევრს აღუფრთოვანა ფანტზია, წარმოადგენინა თავი ბედნიერად ამ თანამდებობაში და ყოველის ღონის ძიებით ცდილობენ ამ ფრიად რთულ და საზოგადოების სასარგებლო თანამდებობის ხელში ჩაგდებას, არამც თუ ის კაცები, რომელთაც ასე თუ ისე ამ საქმის შესრულება შეუძლიანთ, არამედ ზოგიერთა „ჩიგინდარებიც“-კი, ვისაც რის ვაი-ვაგლახით ჯლაბნა უსწავლია და კანცლარიის სკამებსტოლებზედ უხეხნა. ამისთვის ეს ვაჟბატონები არა ზოგვენ არც მჭევრმეტყველებას, არც მაღალ-ზნეობის გამომხატველ სიტყვებს საზოგადოების წინაშე. ყველგან და ყველასთან სიმართლეს, პატიოსნებას, მიუდგომლობას, ქრთამის ღების მავნებლობას უქადაგებენ. არ დავიწყებიათ არც პროტექცია, ეს ჯამაგირიან ადგილების ღმერთი. ნეტამც იქმნება, ჩვენს თხას მგელი დაეჭიროს, მაგრამ ვაი თუ ამ წმინდა სიტყვების უკან ამოფარებული იყოს ხარხარებდეს და გველურის მაცდურობით ბოროტებას ნიადაგს უმზადებდეს. ამიტომ

---

როცა გავსინჯე, სახტად დავრჩი; სახეზე ერთი ბეწო ნიშანი რა არის, ისიც არა ჰქონდა, არც მუწუკი, არც იარა და არცა რამ სხვა.

მერე ისევ თავ-დახრილი მომიბრუნდა და მითხრა:

— ჩემს შვილს რომ ვუვლიდი, მაშინ შემეყარა ეს საშინელი სენი; შვილი-კი გადავარჩინე, მაგრამ მე-კი დავმახინჯდი, ბატონო. ჩემი სილამაზე ჩემს საცოდავს შვილს შევსწირე. რაც უნდა იყოს, ჩემი მოვალეობა აღვასრულე, სინიდისი დამშვიდებული მაქვს. ვიტანჯები, მაგრამ ეს ჩემი ტანჯვა მარტო მაღალმა ღმერთმა იცის.

ექიმმა ჯიბიდგან სამხატვრო ფრთა ამოიღო.

— ნება მომეცი,—უთხრა მან, და ყველაფერს გაგიქარვებ.

დედაკაცმა მარჯვენა ლოყა მიუშვირა, და ექიმმაც ფრთა ოდნავ მიაკარა, თითქოს ყველგან ფერადი წინწკლები უნდა დაამჩნიოსო. ამდენჯერვე მარცხენა ლოყაზე მიაფარა, შემდეგ შუბლზე, ბოლოს, როცა ყველგან მორჩა, წამოიძახა:

— აბა, შეხედეთ, სულ გაქრა, სულ, აღარაფერი ეტყობა.

დედაკაცმა ხელში სარკე აიღო და შიგ გულ-მოდგინედ, დაჟინებით დაიწყო ყურება, ეგებ სადმე კიდევ დამრჩაო. ბოლოს წამოიძახა:

— აღარა მაქვს. ახლა აღარაფერი მეტყობა. დიდად გმადლობთ, ბატონო.

ექიმი ზეზე წამოდგა. დედაკაცს გამოემშვიდობა, ორივენი ოთახიდგან გამოვედით და მე უკან დავედევნე; კარი გამოიხურა თუ არა, მითხრა:

— ახლა ამ უბედურის საშინელ ამბავსაც გიამბობო.

**

ამ დედაკაცს ქალბატონ ჰერმეტიას ეძახია. ერთს დროს ძრიელ ლამაზი, კოპწია და ყველას სათაყვანო იყო და სიცოცხლითაც სტკბებოდა.

ერთი იმ ქალთაგანი იყო, რომელთაც თავიანთი სილამაზე ღმერთად გაუხდიათ, სცდილობენ, რომ სხვისი თაყვანის-ცემა დაიმსახურონ, სხვაზე გაბატონდნენ ან ცხოვრებაში ამით ძოიპოვონ ნუგეში. დარდი თუ რამ ჰქონდა, მხოლოდ ის—ჩქარა არ დავბერდეო, სახე ლამაზი მქონდესო, მთელი მისი ყურადღება, მთელი მისი მოცალეობა ხელებისა და კბილების ფარეზობას უნდებოდა; სათუთად ინახავდა თავის ტანსა და სხეულს.

დაქვრივდა და ერთი შვილი დარჩა. ბავშვი ისე აღზარდა, როგორც ყველა სხვა, საზოგადოებაში სათაყვანო ქალები შვილებს ზრდიან ხოლმე. მიუხედავად ამისა, შვილი მაინც უყვარდა.

ბავშვი გაიზარდა, დედას-კი სიბერე შემოეპარა. იგრძნო, რომ ჟამი იგი სასტიკი ახლოვდებოდა თუ? ამისი არაფერი არ ვიცი.

ბევრ სხვასავით ყოველ დილით მთელის საათობით უყურებდა თუ არა თავის ერთს დროს ნაზსა, გამსჭვირვალე და სპეტაკ ხორცის კანს, რომელიც ახლა თვალებ ქვეშ დანაოჭებოდა; უყურებდა თუ არა, რომ სხვაგანაც ათასი, ჯერ შეუმჩნეველი, გახუნების ნიშნები დაეტყო, რომელიც დღითი-დღე უფრო ცხადად გამოჩნდება?

ისიც დაინახა თუ არა—შეუწყვეტლივ, ნელა, მაგრამ უეჭველის აუცილებლობით როგორ უღრმდებოდა შუბლზე ნაოჭი? გამოსცადა თუ არა წვალება, შეუბრალებელი ტანჯვა, სარკესაგან მიყენებული ამ ვერცხლის ტარიან პატარა სარკისაგან, რომლის ხელიდგან გაშვებას ადამიანი ვერა ჰხედავს, და რომელსაც მერე ისევ გაბრაზებით მიაგდებს, შემდეგ ისევ საჩქაროზე აიღებს, რომ ახლო, სულ ახლო, დაინახოს მოახლოვებულის სიბერის შეუბრალებელი ძალა? დღეში ათჯერ, ოცჯერ იკეტებოდა თუ არა თავისს ოთახში, უმიზეზოდ სტოვებდა თუ არა ზალაში მობაასე სტუმრებს, რომ ისევ თავისს ოთახში თავი ჩაეკეტნა და კიდევ დაენახა დამწიფებულის ხორცის დაჭკნობა, რო კიდევ დაენახა ეს უბედურება, რომელიც ნელ-ნელა მატულობდა, რომელსაც სხვები თითქოს ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდენ, მაგრამ ის-კი ჰხედავდა, მხოლოდ ის ჰხედავდა, ის! იმან კარგად იცოდა, რაზედ უფრო ეტყობოდა ხნიერობა, იცოდა, უფრო საზარელი ნიშანი რაზე ემჩნეოდა, და სარკე ეს ჩუქურთმიან ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული პატარა სარკე, მას გულ-შემზარავ რასმე ეუბნება, ვინაიდგან ის ლაპარაკობს, იცინის, ოხუნჯობს და წინდა-წინვე აუწყებს იმას, რო მისი აზრი სიკვდილამდე ერთის ტანჯვით იქნება შეპყრობილი, სახელდობრ —სიკვდილი ერთად-ერთი მხსნელი იქნება შენიო.

გონება დაკარგული სტიროდა თუ არა, დაჩოქილი, პირქვე დამხობილი სთხოვდა, სთხოვდა და კიდევ სთხოვდა თუ არა იმას, ვინც სულიერს არსებას ამ გვარადა ჰკლავს, ვინც ადამიანს ახალგაზდობას იმიტომ აძლევს, რომ სიბერეში დაამწაროს, და სილამაზესაც მიცემისთანავე ხელ-ახლად ართმევს, ჰო, ამას სთხოვდა თუ არა, ცრემლით ემუდარებოდა თუ არა, იმისთვის ის წყალობა ექმნა, რაც არავის არ ეძლევა, და სიკვდილამდე მისი სილამაზე, ახალგაზდობა და იერი არ წაერთმია? შემდეგ, რაკი გაიგო, რომ ულმობელ უცნობთან ხვეწნა არ გადიოდა, რომ წელნი ერთიერთმანერთზე მაინც გარბოდნენ, ხელების კვრით ჰგორავდა თუ არა თავის ოთახის ხალიჩებზე? თავს ოთახის ავეჯს ახლიდა და ყელში უიმედობის კივილს იჭერდა თუ არა?

უეჭველია, ყველა ეს წვალება და ტანჯვა მან სავსებით გამოიარა. ამიტომ რომ აი რა მოხდა:

ერთს დღეს (იგი მაშინ ოცდა-ხუთმეტის წლისა იყო) თავის ხუთმეტის წლის შვილი ავად გაუხდა.

ვაჟი ლოგინში ისე ჩაწვა, რომ ვერაფერი გაიგეს, რა იყო მისის ტანჯვის მიზეზი, ან რა სენმა გახადა ავად. მომვლელად მისი მასწავლებელი მღვდელი დაუდგა და თავს არ ანებებდა. დედა მხოლოდ დილა-საღამოს მოვიდოდა, დახედავდა ხოლმე.

დილ-დილობით საშინაო ტანისამოსით, სურნელებ ნაპკურები, სახე მღიმარე, კარებიდგანვე ჰკითხავდა ხოლმე:

— ჩემო ჟორჟ, ხომ უკედა ხარ, გენაცვა?

ვაჟი მთლად გაწითლებული, პირი სახე გასივებული, სიცხისაგან მისუსტებული, უპასუხებდა.

— ჰო, დედილო, ახლა ცოტა უკედა ვარ.

რამდენსამე ხანს ოთახში გაჩერდებოდა, წამლების შუშებს სინჯავს

საზოგადოებას ჰმართებს დიდი სიფხიზლე, დიდი შორს მჭვრეტელობა და კრიტიკული შეხედვა საგნისა. საჭიროა, ვისაც შეუძლიან, ვინც მოვალედ სცნობს თავს და ვისიც ჯერ არს ჩააგონოს ხალხს, რომელიც (მეტადრე ჩვენში) ცხვრის ფარას წარმოადგენს, და ჩააგონოს, რაშიაც არის საქმე,—და არა ისე, როგორც ამას წინედ ლეჩხუმის ხეობის ერთს სოფელში მოხდა. ჩამობრძანდა ბოქაული სოფელში, დაიბარა სოფელი, ამოარჩევინა 12 „კეთილ-სვინიდისიანი კაცი“ (ხალხმა-კი ოჯახიშვილობაზე ამოარჩია) და ჩააბარა მათ, რომ თუ, ვინიცობაა, სოფელში ცეცხლი გაჩნდა ან ქურდობა მოხდა, ამ 12 კაცს უნდა გამოეძიათ მხოლოდ ამ გვარი საქმეები. მაგრამ სოფელმა-კი ვერ შეიგნო, რისთვის ამოირჩია ეს 12 კაცი, ან რა საქმეები ჩაბარდა.

ამიტომ, ვიმეორებ, ფრიად საჭიროა, ვისიც ჯერ არს, გარკვევით შეატყობინოს ხალხს საქმის ვითარება, ყური დაუგდოს საზოგადოების ხმას და სურვილს და არა რამდენისამე „პატივცემულის“ მითითებით და რჩევით ხელდახელ გაათავოს საქმე.

ზემო ქალელი

## საზარელი სახელი

(კატულ მენდესი)

გუშინა ვკითხე დაღვრემილ-დაღონებულ მგოსანს, ამას წინად სახელგანთქმულსა და აწ მივიწყებულსა:

— მითხარ, გეთაყვა, რად აღარ აჟღერებ ჩანგს უწინდებრ? ნუ თუ გაქრა შენს გულში სიყვარული მშვენიერებისა? ნუ თუ დაუძლურდა აღფრთოვანებული შენი გონება? რად აღარ გვახარებ მშვენიერის სურათების თაიგულებით და რად არ იშლება ვარდსავით შენი საუცხოვო ლექსი?

— არაო, მიპასუხა; როგორც უწინ, ახლაც გამსჭვალული მაქვს გული სიყვარულითა; არ დაუძლურდა ჩემი გონება, არ გასწყდა სიმები ჩემის ჩანგისა, მაგრამ აღარ ვმღერ და აღარც ვიმღერ არაოდეს ერთის დაწყევლილის სახელის გამო.

— რა სახელისა?

ჩემის იმედის, ჩემის სიცოცხლის სახელის გამო, რომელიც უწინ ჩემი სიხარული იყო, ჩემი ბედნიერება, და ამიერიდგან-კი ჩემი ტანჯვა, ჩემი ჯოჯოხეთი იქმნება. იმ ქალის სახელის გამო, რომელიც ეხლა ისე ძლიერა მძულს, როგორც უწინ მიყვარდა. ეს სახელი, წარმოთქმული, ანუ დაწერილი, სიკვდილია . ყველაფრისთვის, რაც-კი წმინდა, მშვენიერი და უმანკოა! ამ დაწყევლილ სახელისგან ცაში ვარსკვლავები ჰქრება, ხმება ხეზედ ფოთოლი და სჭკნდება ვარდე! მე აღარა მსურს გავიგონო, წარმოვსთქვა, ან დავსწერო ის საზარელი დაწყევლილი სახელი.

— კმარა, გეთაყვა, რას ამბობ მაგას? ვინ გთხოვს, მხოლოდ მისთვის აჟღერო ეგ შენი ჩანგი. დაივიწყე ეგ შენი ორგული სატრფო და სხვა იმღერე. შეამკე თავდადებულნი გმირნი, შეამკე გაზაფხული, ცისა და ქვეყნის მშვენიერება.

— ვაგლახმე! ვერ ვიზამ მაგას,— მიპასუხა; გამიგონე: ეს საზარელი სახელი ოთხ ასოსაგან არის შემდგარი და ოთხივე ასო შემხვდება ყველა სიტყვაში, რა სიტყვაც უნდა გამოვსთქვა, ან დავსწერო, რაც უნდა შევამკო: თავ-დადებულნი გმირნი, გაზაფხული, მშვენიერება ცისა თუ ქვეყნისა, რომელი სიტყვაც უნდა წარმოვსთქვა, ყველგან შეხვდება იმ სახელის ერთი ასო მაინც და მთელს ლექსს მომიწამლავს. წამსვე ჩემის მკვლელის სახელი მომაგონდება და არ ძალმიძს, არა, ჩანგი ვაჟღერო.

ა. ნ.

## რუსეთი

21 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის სახლში, ცარსკოე სელოში, მივიდა უცნობი კაცი, ღარიბად ჩაცმული, ავადმყოფის სახით, და მოსამსახურეს უთხრა, ძლიერ საჭირო საქმე მაქვს და ობერ-პროკურორის ნახვა მინდაო. მოსამსახურემ ჯერ უთხრა, აქ ობერ-პროკურორი არ გინახულებს, შეგიძლიან პეტერბურგში ნახოვო, მაგრამ მთხოვნელი თავისას ამბობდა, ძლიერ საჭირო საქმე მაქვსო. მოსამსახურემ მოახსენა ობერ-პროკურორს. გამოვიდა რა თავის ოთახიდგან ობერ-პროკურორი და ჰკითხა უცნობს კაცს, რა გნებავთო, იმან წამსვე ჯიბიდგან ამოიღო დანა და ეცა პობედონოსცევს. მოსამსახურემ დროზედ ხელი მოჰკიდა ობერ-პროკურორს, შეიყვანა მეორე ოთახში და კარიც დაჰკეტა. ბოროტ-განზრახველი იქვე შეიპყრეს, მოვიდა პოლიციაც. ბოროტ-განზრახველი ჯერ ამბობდა, არავითარი ბოროტ-განზრახვა არა მქონდა, ჯიბიდგან ხელცახოცს ვიღებდი და დანაც თან ამომყვაო. დანის დარტყმა ფიქრადაც არ მომსვლია, თქვენ ისე მოგეჩვენათო, და სხვ. მერე გადათქვა: მინდოდა მხოლოდ შემეშინებინა ობერ-პროკურორიო. მალე მივიდნენ ცარსკოე სელოში სამოსამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს პროკურორები და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი. ბოროტ-განზრახველი პოლიციაში იმყოფება, 25 წლის ახალგაზდა კაცია, გვარად გიაცინტოვი; სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, და მეხუთე კლასში დაანება თავი სწავლას. 20 მარტიდგან ეს კაცი იმყოფებოდა საავადმყოფოში, რადგანაც ფეხები სტკიოდა. გამოძიება სწარმოებს. საზოგადოდ გიაცინტოვი, რაღაც უცნაურად ლაპარაკობს: ვიცი, რაც მომელის, მაგრამ სიცოცხლე არაფრად მსურსო, და სხვა. სინოდის ეკკლესიაში 22 ივნისს გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი უფლისადმი; დაესწრნენ სინოდის ყველა წევრნი, ეკკლესია სავსე იყო ხალხით. პარაკლისის შემდეგ ყველამ მიულოცეს კონსტანტინე პეტრეს ძეს პობედონოსცევს მშვიდობიანად გადარჩენა.

## გასართობი

პარიჟის სასამართლომ გაარჩია შემდეგი საქმე.

ამ ორის წლის წინად ბელგიის გაზეთებში დაიბეჭდა ასეთი განცხადება: ახალგაზდა ქალი, ბელგიელი, 26 წლისა, 3 მილიონის შეძლების პატრონი, ეძებს საქმროს: საქმრო უნდა იყოს უეჭველად ინჟინერი—ფრანგი ან ბელგიელი, ჰქონდეს კარგი შეძლება, საკუთარი სასახლე და ამასთანავე უყვარდეს მოგზაურობა. გარდა ამისა, უნდა იყოს ქერა, ტანადი და მოხდენილი. ადრესი: L. L. poste-restant, ტეტბუტის ქუჩა.

ბრიუსელის ერთმა ინჟინერმა, გვარად ჰოსტემ, გადასწყვიტა, სწორედ ისეთი კაცი ვარ, რომელიც ამ ქალს საქმროდ უნდაო, და მიჰმართა სააგენტოს პირობების შესატყობად. სააგენტომ შეატყობინა, ეგ ქალი მდიდარ ინგლისელის პალმერსის ქვრივია და ამ ჟამად რომში სცხოვრობსო. ბ-ნი ჰოსტე წამსვე რომში გაემგზავრა და გაიცნო ქ-ნი პალმერსი, რომელიც 35 წლის ლამაზი ქერა ქალი აღმოჩნდა. ქალი კაცს მოეწონა და კაცი ქალს. მაგრამ ახალგაზდა ქვრივი ჯვარის წერაზედ არა სთანხმდებოდა. სამი მილიონი ქრთამი ჩემმა ბებიამ უნდა დამიმტკიცოსო. ჯერ როგორმე ბებია უნდა დავარწმუნოთ, რომ შენ, ჩემო საქმრო, შეძლებული კაცი ხარო. ბ-მა ჰოსტემ გადასცა თავის საცოლეს, რაცკი, ფული ჰქონდა სულ 120,000 ფრანკი ინგლისის ბანკში შესატანად. დაიწერეს ჯვარი. ქმარი სიხარულით აღარ იყო. 120,000 ფრანკით ლამაზი ქალიც შევირთე და 3 მილიონიც გვექნებაო. ქ-ნი პალმერსი ამ ფულით გაჰქრა. დიდხანს ეძება ბ-მა ჰოსტემ თავისი ცოლი, ბოლოს იპოვნა და სამართალს გადასცა. სასამართლოში ქ-ნს პალმერს, თუ ჰოსტეს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ქ-ნს დიუმონტერს (ნამდვილი გვარი ამ ქალისა), კარგად იცნობდნენ. 1883 წელში ქმარმა ღალატი დაუმტკიცა და ქალი ქმარს მოაშორეს. მას შემდეგ განცხადებების საშუალებით ქ-ნი დიუმონტერი რამდენჯერმე გათხოვდა და ყველა ქმრებს დასტყუა ფულები. სხვათა შორის მისთხოვდა ბელგიელს კანდენხსტენს; ჯერ ამას დაუცარიელა ჯიბე და შემდეგ მისთხოვდა ინჟინერს კარლენს, 60,000 ფრანკი მოჰპარა და მაზლთან ერთად გაექცა ქმარსა. რძალ-მაზლი რომში სცხოვრობდნენ, ვიდრე ფული გამოელიათ. ბოლოს ინჟინერი ჰოსტე ჩაუვარდა ხელში და იმას მისთხოვდა.

სასამართლომ „ცბიერ ტუჩფა ქალს“ სამის წლით დაპატიმრება მიუსაჯა.

## წერილები რედაქციის მიმართ

I

გამზადებ დასაბეჭდად ქართველ კათოლიკეთა აბატის პეტრე ნარიშკარაშვილის მოღვაწეობის ანბავს. ეს აბატი ამ ორის წლის წინად სტამბოლში მიიცვალა. მამა პეტრეს შრომა და ღვაწლი მიუძღვის ქართველთ კათოლიკეთა წინაშე, იმან დააფუძნა ვენეციაში ქართული სტამბა, საფრანგეთისა და სტამბოლში საშენა ქართველ კათოლიკეთა ეკკლესია, გამართა სტამბა და ქართველ კათოლიკეთა შვილებთათვის სასწავლებელი, სადაც ყველა საგნებს ქართულად ასწავლიდნენ. ამან დაიარა მთელი ევროპა, პაპს ისტორიული ცნობებით დაუმტკიცა საქართველოში მუდამ კათოლიკეთა ქართველობა და სხვანი. ამანვე დაბეჭდა მრავლად წიგნები ქართულს ენაზე საფრანგეთში ვენეციასა და სტამბოლში.

დღეს, როცა ამ შესანიშნავის კაცის მოღვაწეობის ანბავი მზადდება დასაბეჭ-

---

დაუწყებდა და ზიზლით ტუჩებს აპრუწავდა, მერე ერთბაშად წამოიძახებდა: „ახ, ერთი ფრიად საჭირო საქმე დამავიწყდა“, და სირბილით გარედ გავარდებოდა, უკან-კი ტანისამოსის საამურს სურნელებასა სტოვებდა.

საღამოს გულდია ტანისამოსით გამოჩნდებოდა, უარესად აჩქარებული; სულ იმას იძახდა—მიგვიანდებაო, იმდენი დრო-ღა ჰქონდა—ეკითხნა:

— აბა, ექიმმა რა სთქვა?

მღვდელიც უპასუხებდა:

— ჯერ დარწმუნებით არაფერი იცის, ქალბატონო.

ერთს საღამოს-კი მღვდელმა შემდეგი პასუხი მისცა.

— ქალბატონო, თქვენს შვილს ყვავილი გამოაჩნდა.

დედამ ამის გაგონებაზე ერთი დაიკივლა და უცბად ოთახიდგან გავარდა.

მეორე დილას ოთახში მოსამსახურე გოგო რომ შევიდა, ოთახი დამწვარის შაქრის სუნით იყო სავსე. ქალბატონი-კი თვალებ დახუჭებილი, უძილობისაგან ფერწასული, სიცივისაგან აკანკალებული ლოგინში იწვა.

გოგო ფანჯრების დარაბების გაღებას მორჩა თუ არა, ქალბატონმა ჰკითხა:

— ჟორჟი როგორ არის?

— უკეთობა დღეს სრულებით არ ეტყობა, ქალბატონო.

ლოგინიდგან შუადღემდე არ წამომდგარა. შუადღეზე ორი კვერცხი შეჭამა და ერთი ჭიქა ჩაი დალია. თითქო ისიც ავად ყოფილიყოს; მერე სახლიდგან პირდაპირ მეაფთიაქესთან წავიდა და რჩევა ჰკითხა—როგორ მოვიქცე, რომ ყვავილი არ გადამედოსო.

შინ მხოლოდ სადილობისას დაბრუნდა, წამლის შუშებით დატვირთული. მოსვლისთანავე ოთახში ჩაიკეტა და წამლები იპკურა.

მღვდელი სასადილო ოთახში უცდიდა. დედამ შესვლისათანავე შეშინებულის სახითა ჰკითხა.

— ამბავი?

— უარესად არის. ექიმი ძალიან დაღონებულია.

დედამ ტირილი დაიწყო და ისე შესწუხდა, პირში ნაწილი არ ჩაუშვია.

მეორე დღეს განთიადისას თავის შვილის ამბავი კიდევ იკითხა, მაგრამ სანუგეშო ვერც ახლა გაიგო რა. მთელი დღე ოთახიდგან გარედ არ გამოსულა და პატარა მაყალის შემწეობით სხვა-და-სხვა წამლებს ახროლებდა.

მოსამსახურე გოგომ სხვათა შორის გიგლას უთხრა: ქალბატონი მთელი ღამე კვნესოდაო.

მთელმა ერთმა კვირამ ისე გაიარა, რო სხვას არას აკეთებდა—მხოლოდ შუა-დღისას წმინდა ჰაერის ჩასასუნთქავად გარედ გამოვიდოდა და ყოველ საათობით შვილის ამბავს ჰკითხულობდა. რომ ეტყოდნენ —ცუდად არისო, ტირილს მოჰყვებოდა.

მეთერთმეტე დღეზე მღვდელმა შეუთვალა—თქვენი ნახვა მსურსო. შევიდა თუ არა, დედამ სკამი შესთავაზა. მაგრამ მღვდელი არ დამჯდარა, დაღონებულმა და ფერ-წასულმა უთხრა:

— ქალბატონო, თქვენი შვილი უკანასკნელ დღეშია და თქვენი ნახვა უნდა. დედა ამის გაგონებაზე დაეცა და წამოიკივლა:

— ღმერთო, ღმერთო! ვერ გავბედავ, ვერა, თქვენი ჭირიმე, მიშველეთ რიმე!

მღვდელმა ისევ დაიწყო:

— ექიმს მორჩენის იმედი თითქმის დაკარგული აქვს, ქალბატონო, და ჟორჟი გელოდებათ. ეს უთხრა და გავიდა კიდეცა.

ორ საათს უკან ყმაწვილმა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო და დედის ნახვა ხელახლავ მოინდომა; მღვდელი დედასთან შევიდა. ეს-კი დაჩოქილი იყო, სტიროდა და ერთავად ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— არ შემიძლიან... მეშინიან... არ შემიძლიან...

მღვდელი შეეცადა დაეყოლიებინა, გული გაემაგრებინა და როგორმე შვილთან წაეყვანა. მაგრამ დედაკაცმა უარესად დაიწყო ტირილი და შემდეგ კივილიც მოაყოლა.

ექიმი სადამოხანზე მოვიდა. დედის სიმხდალე უთხრეს თუ არა, სთქვა: „მე, მე მოვუყვან, უნდა თუ არა, ის არ ვიცი.“

რამდენს არ ეჩიჩინა ექიმი, დედა მაინც უარზე იდგა. მაშინ ექიმმა მოჰხვია ხელი და ძალათი წაათრია. დედაკაცმა კარებს ხელი ისე მაგრა დაავლო, რო ვერას გზით ვერ მოაშორეს.

როცა მოაშორეს, ექიმს ფეხებქვეშ ჩაუვარდა, ბოდიში მოსთხოვა, რომ ასეთი ჩასაქოლავი ვარო. მერე ყვირილი მორთო:

— არა, ის არ მოკვდება განა? ჰო, უთხარით, რო მიყვარს, რო ჩემი ნუგეში, სიცოცხლე ის არის...

ყმაწვილი სულთმობრძავი გახდა. რო დაატყო—უკანასკნელ დღეში ვარო, ხვეწნა დაიწყო—სთხოვეთ უკანასკნელად გამომემშვიდობოს მაინცაო.

იმ წინასწარ გრძნობით, რომელიც ხანდისხან მომაკვდავთ აქვთ ხოლმე, ვაჟმა ყველაფერი გაიგო, ყველაფერს მიხვდა. ამბობდა: „თუ დედა ჩემი აქ შემოსვლას ვერა ჰბედავს, სთხოვეთ აივნიდგან ჩემს ფანჯარასთან მოვიდეს, ერთი მაინც შევხედო, რადგნ ვერ ვაკოცებ, თვალით მაინც გამოვემშვიდობოვო.“

ექიმი და მღვდელი ისევ დედისაკენ გამობრუნდნენ.

— ახლა მაინც ნუ შეგეშინდებათ, —თქვენსა და თქვენს შვილს შუა ფანჯრის მინა იქმნება.

დედა დასთანხმდა, თავი შეიხვია, თან ერთი შუშა წამალიც წაიღო. აივანზე სამი ნაბიჯი გადასდგა თუ არა, უცბად სახეზედ ხელები დაიფარა და გაჟრჟოლებით წამოიძახა:

— არა,... არა... თავის დღეში ვერ გავბედავ მისს ნახვას... თავის დღეში... სირცხვილი მწვავს... მეშინიან... არა... არ შემიძლიან.

უნდოდათ ძალით წაეყვანათ, მაგრამ ორივე ხელი მოაჯირს მაგრად ჩასჭიდა და ისეთი კივილი მორთო, რომ ქუჩიდამ ხალხმა დაიწყო ცქერა.

მომაკვდავი-კი ფანჯრისაკენ თავ მიბრუნებული უცდიდა, სანამ სულს დალევდა, იმ იმედით, რომ ეგებ უკანასკნელად მაინც ვნახო ჩემის ძვირფასის დედის ტკბილი, წმინდა სახეო.

დიდხანს უცდიდა. ამასობაში ღამემაც მოატანა. მაშინ კედლისაკენ მიბრუნდა და ხმა გაკმინდა. მეორე დილას შვილი უკვე მკვდარი იყო. მესამე დღეს დედაც გაგიჟდა.

თ. სა—კია

დად, საჭიროა, რომ სურათიც ჩაერთოს მის გეოგრაფიას. ამიტომ მივმართავთ ჩვენს ქართველ კათოლიკეთა და ვითხოვთ, თუ ვისმეს აქვს იმასი სურათი, დროებით დაგვითმონ და გამოგზავნონ ტფილისს ან „ივერიის“ რედაქციაში, ან სხვაგან სადმე. სურათის გადაღებისა და დაბეჭდვის შემდეგ დედანი ისევ პატრონს დაუბრუნდება დიდის მადლობით.

ზ. ჭ.

II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო მხატვარს ვასილ ანტონის ძეს ბალანჩივაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდა ხონის მაცხოვრის ეკკლესიას მაცხოვრის ხატი, ღირსებული არა ნაკლებ 70 მანეთისა.

მღ. ხონის მაცხოვრის ეკკლესისა ნესტორ ლეჟავა

# დეპეშა

28 ივნისი.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ 279 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 149-სა არ შეიწყნარა მოხსენება შესახებ იმისა, რომ ლათინთა უბანში მომხდარ უწესოებაში დამნაშავეთ ეპატიოთ დანაშაული; დიუპუიმ გამოაცხადა, რომ ამ უწესოებაში გარეულ ახალგაზრდობას მოწყალედ მოვექცევითო.

**ლონდონი.** მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს, დილის 11 საათზედ, საგანგებო მატარებლით ბერლინს გაემგზავრა. მისი უმაღლესობა ფლისენგენში წაბრძანდება გემით „Victoria and Albert“. მემკვიდრე ცესარევიჩს ძლიერ გულ-მხურვალედ გამოეთხოვნენ. დედოფლის წარმომადგენელი გენერალი გარდნერი მის უმაღლესობას ფლისენგენამდე გააცილებს.

29 ივნისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ჩვენ ქვეშევრდომთათვის მუდმივ ზრუნვის გამო შემწეობა აღმოვუჩინეთ იმ გუბერნიის მცხოვრებთ, რომლებიც დაზარალდნენ 1891 და 1892 წლების მოუსავლობის გამო. მცხოვრებთა კეთილ-დღეობის აღსადგენად, რომელიც შერყეულ იქმნა წარსულ წლების მოუსავლობითა, უუმაღლესად ვუბრძანებთ უმართებელეს სენატს: 1) მცხოვრებთათვის პურით გაცემული სესხი ორად იქმნას განაწილებული: პირველ რიგში ჩაითვლება სესხი, გაცემული ჭვავითა, პურითა და ყოველგვარ ფქვილით; მეორე რიგში—ქერი, სიმინდი, ცერცვი და სხვ. 2) სესხი გამორთმეულ იქმნას იმ ფასად-კი არა, როგორი ფასიც ეხლა აქვს პურსა, არამედ იმ ფასად, როგორც ღირდა პური ორთა შუა რიცხვით უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში. ფასების სია სხვა-და-სხვა გუბერნიაში დამტკიცებული უნდა იყოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების მიერ. 3) კართოფილითა და ხორცით გაცემულ სესხში გამოერთვათ მცხოვრებთ ის ფასი, რაც თითონ მთავრობას დაუჯდა; ფულად გაცემული სესხი სრულად იქმნა დაბრუნებული. 4) ზემოდ აღნიშნული შეღავათი მიენიჭოს: ბესარაბიისა, ვორონეჟისა, ვიატკისა, კურსკისა, ყაზანისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ორენბურგისა, ორიოლისა, პენზისა, პერმისა, რიაზანისა, სამარასი, სარატოვისა, სიმბირსკისა, ტამბოვისა, ტობოლსკისა, ტულასი, უფასი, ხარკოვისა და ხერსონის გუბერნიებსა და ყირიმში მცხოვრებთ. 5) ზარალი იმის გამო, რომ სესხი სრულიად არ გამოერმევათ მცხოვრებთ, შევსებულ იქმნას იმ ფულიდგან, რომელიც ხაზინას დაუბრუნდება სესხის მოკრებით. ამ ბრძანებაში მოხსენებული სია ამასთანავე ეგზავნებათ გუბერნატორებს ცირკულიართან ერთად.

ამ ბრძანების გამო გაზეთი „Правит. Вѣст.“-ი სწერს: 20 ივნისს უმაღლესი ბრძანება დიდს შეღავათს აძლევს მცხოვრებთაო.

ხაზინამ სესხად დაარიგა 135 მილიონ მანათამდე ფულით და პურით. ხოლო ეხლა გამოერთმევათ მცხოვრებთ სულ 70 მილიონი. ამ გვარად მცხოვრებთ ნახევარზედ მეტი ეპატიებათ ვალი. ეს დიდი წყალობა ხელმწიფისა სრულ საშუალებას აძლევს მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთ აღადგინონ თავისი კეთილ დღეობა, ამ უკანასკნელ წლებში მოუსავლობის გამო დაცემული.

ეპისკოპოზი კავკავისა თეოდოსი გადაყვანილ იქმნა მოსკოვის სინოდის კანტორის წევრად; ყოვლად სამღვდელო ვლადიმირი — კავკავის ეპისკოპოზად.

30 ივნისი

**პეტერბურგი.** „Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ელევატორების შესახებ შემუშავებულია ახალი დებულებანი, რომლების ძალითაც ელევატორებში პური მიიღება; თუ გლეხმა ცოტა პური მიიტანეს, ეს პური პატრონის თანადასწრებით უნდა გაისინჯოს და თუ რამ სხვა რამ იქმნა პურში გარეული, ყველა ეს პატრონს დაუბრუნდება; პურის პატრონს მისცემენ კვიტანციას, და პატრონსაც შეუძლიან ამ პურით ყველა ოპერაციები აწარმოვოს, როგორც დიდის პარტიის პურის მიმტანმა.

**პოტსდამი.** მემკვიდრე ცესარევიჩი მობრძანდება 8 საათსა და 25 წამზედ სადგურ ვილდპარში, სადაც მიეგებება იმპერატორი და შემდეგ ერთად წაბრძანდებიან ახალს სასახლეში. სადგურიდამ სასახლემდე ქუჩის ორსავე მხარეს ქვეითა ჯარი იდგება. სასახლეში სადილი გაიმართება 30 კაცისთვის; სადილის დროს დაუკრავს მუსიკა იმპერატორის ალექსანდრეს სახელის გვარდიის პოლკისა. ბერლინს მემკვიდრე ცესარევიჩი წაბრძანდება 10 საათსა და 25 წამზედ. პოსტდამის ვაგზალიდგან ფრიდრიხშტრას ვაგზლამდე მისი უმაღლესობა წაბრძანდება სამეფო კარის ეტლით.

**გამბურგი.** რათა აღსრულებულ იქმნას გერმანიის მთავრობის განკარგულება, რომ რუსეთიდგან ამერიკაში მიმავალნი, იქ დასასახლებლად აღარ გაატარონ, გამბურგ-ამერიკის ნავოსნობის საქციონერო საზოგადოებამ ახალ განკარგულებამდე, გააუქმა თავისი სააგენტოები საზღვრებზედ.

**ჩიკაგო.** გუშინ ცეცხლი გაჩნდა გამოფენის საწყობებში. დაიქცა კოშკი და დაიტანა 30 ცეცხლის მქრობელი, 60 მძიმედ დაშავდა. ზარალი $^1/_2$ მილიონი დოლარია.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,55 | 7,57 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $150^1/_2$ | $151^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $194^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | $101^1/_4$ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | $101^1/_4$ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $100^1/_4$ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $98^1/_2$ |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის წყალის მილის კანტორა ამით აცხადებს, რომ 29 ივლისიდგან ყველამ, ვისაც-კი კანტორიდგან მარკები აქვს აღებული წყალის მილისა, ეს მარკები უნდა წარუდგინოს წყალის მილის კონტორას, წინაალმდეგ შემთხვევაში ეს მარკები გაბათილებული იქმნება და ამ მარკებში პატრონებს წყალს აღარ მისცემენ ონკანებიდგნ.

თავადი სოლომონ გიორგის ძე ტუსიშვილი, აუწყებს რა გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მამისა თვისისა თავადის გიორგი დავითის ძის ტუსიშვილისას, სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ დუშეთის მაზრის სოფელს ახატანს შაბათს 3 ივლისს.

(1—1)

## მამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ф. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა), ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლითა, მის მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნებათ. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.